Georgische Zeitung „SAKARTHWELO"

საქართველო

№ 26 (103) გამოც. მე-3 წელი — ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი — ბერლინი, 8 ივლისი, 1944 წ.

გერმანიის პრესის ხელმძღვანელის დოქტორი დიტრიხის ინტერვიუ

ახალი იარაღი გამოყენებული იქნება ინგლისის წინააღმდეგ მომავალშიც

შვეიცარიის გაზეთმა „ნოიე ციურიხერ ცაიტუნგმა", 1944 წლის 20 ივნისს, პირველ გვერდზე გამოაქვეყნა საინტერესო ინტერვიუ, რომელიც ჩაატარა გერმანიის პრესის საიმპერიო ხელმძღვანელმა დოქტორმა დიტრიხმა ამ გაზეთის წარმომადგენელთან ბერლინში. ვაქვეყნებთ მის სრულ თარგმანს.

კ ი თ ხ ვ ა: თავისთავად ცხადია, გერმანიის უმაღლესი სარდლობის მიერ ინგლისის წინააღმდეგ ახალი იარაღის გამოყენების ფაქტმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია მთელ მსოფლიოში. ამ იარაღის მნიშვნელობის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ. მაგრამ, იმ დროს, როდესაც გერმანელების მხრიდან ახალი იარაღი ხასიათდება, როგორც განსაკუთრებული მოქმედების მქონე, ინგლისელები უარყოფენ ამას.

პ ა ს უ ხ ი: არსებობს ხალხის ორი ჯგუფი, რომლებიც სავსებით ზუსტად იცნობენ ახალი გერმანული „ამფეთქებელი სხეულების" მოქმედებას. პირველყოვლისა, ესენი არიან ხალხნი, რომლებიც უშუალოდ მოხვდნენ ახალი იარაღის მოქმედების არეში და ყოველდღიურად, ყოველსაათობით განიცდიან მას თავისთავზე. მეორე მხრივ, ესენი არიან ადამიანები, რომლებიც იყენებენ ამ ახალ იარაღს, ვინაიდან მათ ზუსტად გამოსცადეს მისი მოქმედება მრავალი წლის ცდების შედეგად და სავსებით ზუსტად განსაზღვრეს იგი. თუ ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრი მორისონი, ეხლა სასტიკად ჰკრძალავს ახალი იარაღის ფაქტიური მოქმედების შესახებ რაიმე ცნობების გამოქვეყნებას და ასაბუთებს ამ აკრძალვას იმით, რომ გერმანელები გაიგებენ სამხედრო საიდუმლოებას, იგი ამრიგად უმალავს საქმის ნამდვილ ვითარებას გერმანელებს კი არა, რომლებიც დიდი ხანია უკვე იცნობენ ახალი იარაღის მოქმედებას, არამედ ინგლისელ ხალხს და მსოფლიო საზოგადოებრიობას. მორისონს სურს მოატყუოს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი.

კ ი თ ხ ვ ა: ინგლისელები ამტკიცებენ, რომ მსგავსი იარაღი ინგლისში უკვე დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ მას არ ანვითარებდნენ და არ იყენებდნენ ჰუმანური მოსაზრებებით.

პ ა ს უ ხ ი: ყველასათვის ცნობილია, რომ სწორედ ინგლისელებს არასდროს არ უთქვამთ უარი გამოეყენებინათ მათ განკარგულებაში მყოფი რაიმე იარაღი. ჩვენ, გერმანელები გაკვირვებული ვართ, რომ უცხოეთის ფართო წრეებში საჰაერო ბრძოლის ჰუმანური წარმოების ინტერესი მხოლოდ ეხლა იღვიძებს. ჩვენ, გაკვირვებული ვართ, რომ ეს ხდება ეხლა, როდესაც საქმე ინგლისს ეხება და არა ორი წლის წინათ, როცა ფოსფორის ყუთები ინგლისელებმა შეიტანეს თავიანთი „სამხედრო" საბრძოლო იარაღების რიცხვში, ან მაშინ, როდესაც ინგლისელებმა თავის ამფეთქებელ ბომბებს, რომლებსაც გერმანიის ქალაქებს აყრიან თავზე, უწოდეს „საცხოვრებელი ბლოკების დამანგრეველი საშუალებანი". მაშინაც კი, როცა ინგლის-ამერიკელებმა თავიანთი თვითმფრინავებიდან დაიწყეს მინდვრებში მომუშავე გლეხების ხოცვა, ძალიან ცოტა აღმოჩნდა მსოფლიოში ისეთი ხალხი, რომლებმაც დასვეს საკითხი: ომის ეს მეთოდი ხომ არ ახდენს ინგლის-ამერიკის დისკრედიტაციას? ყოველ შემთხვევაში ჩვენ, გერმანელებს არ გვესმის, რომ საჰაერო ომის შესახებ მსოფლიოში არსებობს ორი სახის მორალი და ორი სახის ჰუმანურობა, ერთი ინგლის-ამერიკელებისათვის და მეორე ჩვენთვის, გერმანელებისათვის.

კ ი თ ხ ვ ა: მაგრამ, ინგლისში აცხადებენ, რომ გერმანული ქალაქებისა და დასახლებული პუნქ...-ის ბომბარდირებას ინგლის-ამერიკელების მიერ, მიუხედავად სამოქალაქო მოსახლეობის მსხვერპლისა, მაინც აქვს სტრატეგიული ხასიათი. მაშინ, როდესაც ახალი გერმანული იარაღი საერთოდ არ არის მიმართული სამხედრო მიზნებისაკენ და განხილული უნდა იქნას, როგორც ნამდვილი ტერორისტული იარაღი.

პ ა ს უ ხ ი: თქვენ თვითონ ნახეთ ბარბაროსული, სამხედრო თვალსაზრისით ყოვლად უაზრო ნგრევები ისეთ ქალაქებში, როგორიცაა ბერლინი, ჰამბურგი, კელნი, მიუნხენი, ფრანკფურტი, აახენი და სხვა, და თქვენ თვითონ შეგიძლიათ დაასკვნათ, წარმოადგენენ თუ არა სამხედრო მიზნებს საცხოვრებელი კვარტალები და კულტურის ძეგლები, რომლებიც უყოყმანოდ იქნენ განადგურებული „ბომბების ხალიჩით". მეორე მხრივ, ხომ არ სურთ ინგლისელებს უარყონ, რომ მთელი სამხრეთი ინგლისი და ლონდონი ავსებულია სამხედრო ნაწილებით და საჭურვლით და წარმოადგენს ერთიან სამხედრო არსენალს? ამას ხომ ამტკიცებდნენ ინგლისური გაზეთები მთელი თვეების განმავლობაში შემოჭრის წინ?

არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ასეთი ადგილების ბომბარდირება „ამფეთქებელი სხეულებით" წარმოადგენს აბსოლუტურ სამხედრო აუცილებლობას. თუ ეს გარემოება დაკავშირებულია შეურაცხყოფასთან იმისათვის, რაც ინგლის-ამერიკელებმა ჩაიდინეს გერმანელი სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ, მაშინ ყველა, საღად მოაზროვნე ადამიანი მოიწონებს მას.

კ ი თ ხ ვ ა: ინგლისში ამტკიცებენ, რომ ახალ იარაღს არა აქვს სამხედრო ხასიათი, ვინაიდან იგი დამიზნებით მოქმედების საშუალებას მოკლებულია.

პ ა ს უ ხ ი: გერმანულ „ამფეთქებელ სხეულებს", უკიდურეს შემთხვევაში აქვთ ისეთივე სიზუსტე, რაც ინგლისელების ბომბებს, რომლებსაც ისინი ჰყრიან მთლიანი ღრუბლიანობის დროს 10.000 მეტრის სიმაღლიდან. სწორედ შვეიცარიელებმა იციან ასეთი ბომბარდირების კლასიკური მაგალითი, რაზეც ინგლის-ამერიკელები აცხადებენ პროტესტს. ეს არის შაფჰაუზენის შემთხვევა.

კ ი თ ხ ვ ა: შეგიძლიათ თუ არა რამე სთქვათ შეურაცხყოფის შემდგომ მსვლელობაზე?

პ ა ს უ ხ ი: მე არ გამოვამჟღავნებ არავითარ საიდუმლოებას, თუ გეტყვით, რომ „ამფეთქებელი სხეულებისა" და ცეცხლის ნაკადი არ შეჩერდება სამხრეთი ინგლისის სამხედრო მიზნებზე. მე შემიძლია დაგარწმუნოთ აგრეთვე იმაში, რომ გამოყენებული იქნება ბრძოლის კიდევ უფრო მძლავრი, ახალი საშუალებები მანამდე, სანამ ინგლისი არ დარწმუნდება, რომ მის მიერ პროპაგანდირებული ომის წარმოება საჰაერო ტერორის დახმარებით, წარმოადგენს რიკოშეტს, რომელიც საშინელი ძალით თვითონ ინგლისსვე მოხვდება.

ინგლისელ ხალხს ამისთვის შეუძლია მადლობა გამოუცხადოს ისეთ ადამიანებს, როგორიცაა, მაგალითად, ჩერჩილი, ვანზიტარი და სხვები, რომლებმაც ინგლისის ომის მიზნად გაიხადეს გერმანელი ხალხის ...ოა საშუალებით მოსპობა. გერმანიაში არასოდეს არ ყოფილა ასეთი განზრახვა ინგლისელი ხალხის მიმართ. ჩვენ ვაწარმოებთ ომს არა ინგლისელი ხალხის წინააღმდეგ, არამედ მათ წინააღმდეგ, ვინც ჩააბა ამ ომში ინგლისი და მთელი მსოფლიო.

გენერალ-ფელდმარშალი რომელი ერთერთი სანაპიროს დამცველ ბატარიასთან

გერმანია-ფინეთის სოლიდარობა უცვლელი რჩება

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფონ რიბენტროპმა ინახულა ფინეთის მთავრობა. საუბარი ეხებოდა გერმანია-ფინეთის საერთო ინტერესებს. ფინეთის მთავრობის სურვილზე, გერმანიისაგან სამხედრო დახმარების მიღების შესახებ, გერმანიის მთავრობამ თანხმობა განაცხადა. საუბარი ფონ რიბენტროპსა და ფინეთის პრეზიდენტ რიტის შორის, რომელიც შესდგა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რამზაის თანდასწრებით, ჩატარდა ორივე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების სამხედრო კავშირისა და ფინეთისა და გერმანიის ხალხების მეგობრული სულისკვეთების საფუძველზე. მიღწეულია სრული შეთანხმება ორივე მხარეს შორის ყველა დასმულ საკითხზე.

*

ახალი იარაღის მოქმედება გრძელდება

ახალი სამხედრო იარაღი, რომელსაც გერმანელებმა „V-1" უწოდეს (შეურაცხყოფა — 1"), მცირეოდენი შესვენების შემდეგ, კვლავ შეუწყვეტლივ მოქმედებს სამხრეთი ინგლისის რაიონებსა და ლონდონზე.

ინგლისის პრესა უკვე იძულებულია აღიაროს „V-1"-ის განსაკუთრებული ძალა. ასე, მაგალითად, „დეილი მეილი" და „დეილი ტელეგრაფი" აცხადებენ: „V-1"-ის განუსაზღვრელი ამფეთქებელი ძალა ინგლისს მეტად მძიმე ამოცანის წინაშე აყენებს, რადგან ამით გერმანელებმა ახალი სახის შემოტევა დაიწყეს". „უკვე დაიწყო და სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ლონდონისა და მთელი სამხრეთი ინგლისის დაცლა. გერმანელების ახალი იარაღი „V-1"-ის მოქმედება იმდენად დიდია, რომ აღნიშნულ რაიონებში ნორმალური მუშაობის წარმოება შეუძლებელია". ინგლისის მთელი პრესა ლაპარაკობს იმ დასაზვერი გაფრენების შესახებ, რომელიც ინგლისის თავდაცვის ორგანიზაციის ერთერთმა მეთაურმა, რობერტ ჰილმა მოაწყო. მას უნდოდა „V-1"-ის მოქმედებით შექმნილ მდგომარეობაზე სრული წარმოდგენა ჰქონოდა, რათა მისი საწინააღმდეგო საშუალებები გამოენახა. მაგრამ, როგორც „დეილი მეილის" კორესპონდენტი აღნიშნავს, ინგლისელები ივიწყებენ, რომ „V-1"-ს მოჰყვება „V-2". სრულიად ნეიტრალური მოგზაურები, რომლებიც ინგლისიდან დაბრუნდნენ და ლისაბონში შეჩერდნენ, შემდეგს მოგვითხრობენ: „ახალი იარაღი „V-1"-ის მოქმედება იმდენად დიდია სამოქალაქო მოსახლეობისათვის, რომ ისინი სრულიად არ ჰფიქრობენ ნორმანდიაში წარმოებულ ბრძოლებზე, არამედ მხოლოდ იმაზე ზრუნავენ, როგორმე დააღწიონ თავი „V-1"-ის მიერ შექმნილ ჯოჯოხეთურ მდგომარეობას.

*

ბრძოლები შერბურგში

გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობით, 22 ივნისს, ინგლის-ამერიკელებმა დიდი ძალებით დაიწყეს შემოტევა ხმელეთიდან შერბურგის ციხე-ქალაქზე. განსაკუთრებით სასტიკი ბრძოლები, ინგლის-ამერიკელთა მძიმე არტილერიისა და საჰაერო ძალების მონაწილეობით, სწარმოებდა სიმაგრის სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ უბნებზე. მთელი დღის განმავლობაში გერმანიის სანაპირო დაცვა და საზღვაო არტილერია მხარს უჭერდა სახმელეთო ბრძოლებს. გერმანიის არტილერია ესროდა აგრეთვე ინგლის-ამერიკელთა გემების თავმოყრას ზღვაში.

სასტიკი ბრძოლები შერბურგის სიმაგრისათვის ეხლაც გრძელდება, ამასთან ამერიკელები განიცდიან უდიდეს ზარალს. სიმაგრის დასაცავად გერმანელებმა თავი მოუყარეს დიდ ძალებს. გენერალ მონტგომერის შეხედვის ბრძოლებში თავისი ამერიკელი მოკავშირეები სულ ახალ-ახალი დივიზიები, ვინაიდან მას განსაკუთრებით სჭირდება შერბურგის ნავსადგური.

როგორც ცნობილია, კოტანტენის ნახევარკუნძულის დაკავება გათვალისწინებული იყო შემოჭრის ოპერაციის მეორე დღისათვის. მაგრამ, გერმანიის იარაღის წინააღმდეგობის ძალა ისეთი აღმოჩნდა, რომ ამერიკელებმა მხოლოდ მე-14 დღეს შესძლეს ვიწრო ზოლით მიეღწიათ ნახევარკუნძულის დასავლეთი ნაპირისათვის. ეხლა, შერბურგთან მოქმედებს სანაპირო და საგემბანო არტილერიის ყველა სახეობა, ხოლო სახმელეთო ოპერაციებს მხარს უჭერენ ბომბდამშენების ძლიერი შენაერთები და გამანადგურებლები. შემოტევის მთელი ფართობი ციმაგრის წინ ხანხარებს ყუმბარებისაგან და აჭრელებულია სხვადასხვა სიდიდის ორმოებით. 24 ივნისს, ამერიკელებმა შესძლეს მიეღწიათ ქალაქის გარეუბნებამდე, მას შემდეგ, რაც სასტიკ ბრძოლებში სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ უბნებზე გერმანულმა ჯარებმა დასთმეს რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი.

უკანასკნელ დღეებში ამერიკელების დაწოლა გაძლიერდა დასავლეთ ფრთაზე. მათ მიიტანეს იერიში ფლოტმანვილზე და განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს ჰაერიდან შერბურგის გარეუბნებს და შიდა კვარტალებს. ამერიკელების ეს იერიში, რომლის მიზანიც იყო გარღვევა სანაპიროს მიმართულებით, უშედეგოდ დამთავრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი მიხრძოლი საველე მეცადინეობაზე

ბრძოლები ფინეთში

ფინეთის შტაბ-სადგომის ცნობით, კარელიის ყელზე საბჭოთა ჯარების დაწოლა გრძელდებოდა ვიპურის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც გამძაფრებული ბრძოლები სწარმოებდა. ძლიერი საარტილერიო ცეცხლისა და ავიაციის შეწრდაჭერით, ბოლშევიკებმა მოახერხეს ფინეთის ჯარების განლაგებაში შეჭრა. ტოლისა და ვუოქსის რკინიგზის სადგურებს შორის საბჭოთა შეტევები უკუგდებულ იქნა კონტრდარტყმებით, ამასთან მოხდა სისხლიანი ხელჩართული ბრძოლები.

ყელის აღმოსავლეთ ნაწილში საბჭოთა ჯარები შეეცადნენ რამდენიმე ადგილას გადასულიყვნენ მდინარე ვუოქსზე, მაგრამ ყველგან უკუგდებულ იქნენ. კარელიის ყელზე, მაასელნასთან ახლოს, ფინეთის ჯარებმა დაიკავეს ახალი თავდაცვითი პოზიციები. დატოვებულ იქნა ქალაქი პოვენეცი.

ფინეთის უბის აღმოსავლეთ ნაწილში სწარმოებდა შეტაკებები ზღვაზე, რომლის დროსაც ჩაძირულ იქნა ერთი საბჭოთა სადარაჯო გემი. კუნძული კოივისტოს ჩრდილო ნაწილში ბოლშევიკებმა შესძლეს ახალი დამხმარე ძალების გადასხმა.

გერმანულმა და ფინურმა ავიაციამ კონცენტრირებული თავდასხმით გაანადგურეს რამდენიმე საბჭოთა ტანკი, და აგრეთვე მოსპეს საბჭოთა საარტილერიო და სატანკო პოზიციები. ფინეთის გამანადგურებლებმა და საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდეს 36 საბჭოთა თვითმფრინავი.

ფინეთის შტაბ-სადგომის უკანასკნელი ცნობებით, კარელიის ყელზე, ვიპურისა და ვუოქსს შორის საბჭოთა ჯარები განაგრძობდნენ სუსტ შეტევებს, რომლებიც მთლიანად უკუგდებულ იქნენ. საბჭოთა ჯარებმა მძიმე დანაკარგი განიცადეს. აუნუსის ყელზე ფინეთის ჯარებმა ასევე უკუაგდეს საბჭოთა ძლიერი საარტილერიო და სატანკო იერიშები. სვერინისკის რაიონში ბოლშევიკებმა მოახერხეს მდინარე სვირის ფორსირება და მიაღწიეს მის ჩრდილო ნაპირს. ლადოგის ტბის სანაპიროზე ისინი შეიჭრნენ ფინურ პოზიციებში, მაგრამ ფინურმა ჯარებმა ალყაში მოაქციეს.

საბჭოთა ავიაციამ კარელიაში დაჰკარგა 34 თვითმფრინავი.

მდგომარეობა ფრონტებზე

უკანასკნელი ცნობები

გასული კვირის განმავლობაში მტრის მთელი მოწევა ნორმანდიის ფრონტზე მდგომარეობს პატარა ქალაქ ტილის ალებაში და ქ. შერბურგში შეჭრაში, რისთვისაც მან აურაცხელი მსხვერპლი გაიღო. შერბურგი მთლად ნანგრევებად არის ქცეული. ყველა მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტი აფეთქებულია. მრავალ სიმაგრეში, 28 ივნისის ცნობით, კვლავ ბრძოლა გრძელდება. გერმანელთა გმირული გარნიზონი ყველგან გააფთრებით იბრძვის. ქ. ტილის არეში მოწოლილი მტრის მრავალრიცხოვანი ძალები გერმანული ჯარების მამაცი წინააღმდეგობით განადგურებულ იქნენ. წინადღით აღებული ზოგიერთი პუნქტი მტერმა ხელახლა დაჰკარგა. მხოლოდ ერთ ყურეში შესძლო მან თავისი შემოჭრის არის ოდნავ გაფართოება. მტრის სისხლიანი ზარალი მეტად დიდია.

მძაფრი ბრძოლებია აგრეთვე იტალიაში. მტერმა აქ მხოლოდ დასავლეთის უკიდურეს ფრთაზე შესძლო ოდნავ წინწამოწევა. ყველა სხვა ნაწილში მტრის შემოტევები დიდი ზარალით უკუგდებულია.

აღმოსავლეთის ფრონტის შუა ნაწილში მთელი კვირაა გააფთრებული ბრძოლებია სმოლენსკის, ვიტებსკისა და მოგილევის არეში. ქ. ვიტებსკისა და ორშას დატოვების შემდეგ ბრძოლის ხაზი გადმოვიდა მდ. ბერეზინას შუა-და ზედადინების აღმოსავლეთით.

პოლოცკისა და პსკოვის რაიონებში მტრის ყველა შემოტევა მისთვის დიდი ზარალის მიყენებით მოგერიებულია. გერმანიის თვითმფრინავები თავს დაესხნენ საბჭოთა ქალაქებს, განსაკუთრებით ქ. კალინკოვიჩსა და ქ. სმოლენსკის სადგურს, ჩამოყარეს მრავალი გამანადგურებელი და ცეცხლწამკიდი ბომბი. მხოლოდ 26 ივნისის ღამის განმავლობაში ქ. კირკენესთან განადგურებულ იქნა საბჭოთა 77 თვითმფრინავი.

ჩრდილო-ამერიკელთა ძლიერი საჰაერო შენაერთი 27 ივნისს დღისით თავს დაესხა უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტს. გერმანულმა და უნგრულმა საჰაერო თავდაცვამ ჩამოაგდო მტრის 24 თვითმფრინავი.

გერმანიის საბრძოლო თვითმფრინავები განაგრძობენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისზე თავდასხმებს.

საზღვაო ბრძოლა წყნარ ოკეანეზე

ტოკიოდან და ვაშინგტონიდან ერთდროულად იტყობინებიან, რომ ფილიპინისა და მარიანის კუნძულებს შორის დაიწყო დიდი საზღვაო ბრძოლა იაპონიისა და ამერიკის ფლოტს შორის. ამ ბრძოლის მსვლელობის შესახებ არცერთი მებრძოლი მხარე არ იძლევა არავითარ ცნობას. ამერიკის საზღვაო მინისტრმა ფორესტოლმა განაცხადა, რომ ამერიკის წყნარი ოკეანის ფლოტის მთავარსარდალი ადმირალი ნიმიცი „აბსოლუტურ დუმილს არჩევს".

ცნობილია, რომ ეს ბრძოლა დაკავშირებულია იმ ოპერაციებთან, რომელიც კუნძული საიპანისათვის სწარმოებს, სადაც ამერიკელებმა შესძლეს მძიმე არტილერიის გადატანა. ამ არტილერიის ცეცხლის ქვეშ მათ მოახერხეს მიეღწიათ აეროდრომამდე, რომელიც კუნძულის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს, კუნძულის მეორე მხარეზე იაპონელების ხელშია ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი, საიდანაც ისინი აწარმოებენ ღამის თავდასხმებს ამერიკელთა ჯარებზე და აყენებენ მათ დიდ ზარალს.

იაპონიის საიმპერატორო სადგომის დამატებითი ცნობებით, იაპონელთა მიერ ჩაძირული ამერიკის საბაზო გემს ჰქონდა 45 ათასი ტონა წყალწყვა და ეკუთვნოდა „იოვას" ტიპის გემების რიცხვს. იგი ჩაძირულ იქნა კუნძულ გუამთან. დაზიანებული ამერიკული საბაზო გემები ეკუთვნოდნენ „ნორდ კაროლინას" ტიპის გემებს და მათი წყალწყვა უდრიდა 35.000 ტონას. ორი ამერიკული ავიამზიდი, რომლებიც აგრეთვე იქნენ დაზიანებული და დაიწვნენ, ეკუთვნოდნენ „ესექსის" ტიპის გემებს (24.000 ტონა).

ტოკიოდან მიღებული ცნობების მიხედვით, კუნძული საიპანის წინააღმდეგ მოქმედი ამერიკული მძიმე საბაზო გემები, მიუხედავად დიდი ზარალისა, განაგრძობდნენ თავის ოპერაციებს მარიანის კუნძულების ჯგუფის აღმოსავლეთით და დასავლეთით. იაპონიის გარნიზონის მედგარ თავდაცვით ბრძოლებს მხარს უჭერდა ავიაცია, რომელიც განუწყვეტლივ ბომბავდა ამერიკელთა ხიდთავისსავლელ სიმაგრეს, ტყვიაწამლის საწყობებს და სადესანტო ნავების თავმოყრას.

ამერიკულმა ავიაციამ გააძლიერა თავისი მოქმედება აგრეთვე იაპონიის სხვა დასაყრდენ პუნქტებზე და კუნძულებზე წყნარი ოკეანის სამხრეთ და შუა ნაწილებში. ეს პუნქტებია: პალაო, ტრუკი, რაბაული კუნძულ ახალ ბრიტანეთზე, ნამაიანი და ახალი ირლანდია.

ყველა ამ თავდასხმის დროს ამერიკელები განიცდიან დიდ ზარალს. იაპონიის საჰაერო ძალებმა თავის მხრივ მოახდინეს ძლიერი თავდასხმა კუნძულ საიპანის ხიდთავისსავლელ სიმაგრეზე და ბომბავდნენ ამერიკელთა პოზიციებს. საიპანის დასავლეთით მათ ჩაძირეს ერთი ამერიკული ტრანსპორტი.

ამერიკულ თვითმფრინავთა მოსპობა.

როგორც ეხლა გამოირკვა, გერმანული საიერიშო თვითმფრინავების თავდასხმამ საბჭოთა აეროდრომზე პოლტავაში, რაც აღნიშნული იყო გერმანიის უმაღლესი სარდლობის 22 ივნისის ცნობაში, უდიდესი ზარალი მიაყენა ამერიკელების ბომბდამშენთა შენაერთს. ბერლინზე 21 ივნისს ტერორისტული თავდასხმის შემდეგ, ეს შენაერთი გაემართა აღმოსავლეთისაკენ და დაეშვა პოლტავაში. გერმანელი მფრინავების მიერ გადაღებული ფოტოსურათებით გამოირკვა, რომ აეროდრომზე განადგურებულ იქნა 36 ამერიკული ბომბდამშენი „B 17". გარდა ამისა, მოსპობილია 5 ორმოტორიანი თვითმფრინავი, ხოლო რამდენიმე მანქანა მძიმედ დაზიანებულია. სურათებიდან სჩანს, რომ მძიმედ დაზიანებულია აგრეთვე ანგარები, ბლინდაჟები და სხვა ნაგებობანი, დანგრეულია ნავთობის საცავებიც.

23 ივნისს, ღამით, გერმანიის საიერიშო თვითმფრინავების ძლიერმა შენაერთმა მოაწყო თავდასხმა საბჭოთა აეროდრომზე მირგოროდში, სადაც აგრეთვე იმყოფებოდნენ ამერიკული თვითმფრინავები. ისინი დაეშვნენ საბჭოთა კავშირში 21 ივნისს. აქ განადგურდა და დაიწვა 20 ოთხმოტორიანი ამერიკული ბომბდამშენი.

ქართველი მოხალისე სწერს კორესპონდენციას ჩვენს გაზეთში გამოსაგზავნად.

მანერჰაიმის ბრძანება

საზღვაო კადეტების მეთექვსმეტე გამოშვებასთან დაკავშირებით, ფინეთის არმიის მთავარსარდალმა, ფელდმარშალმა მანერჰაიმმა, გამოსცა შემდეგი ბრძანება არმიისადმი: „ჩვენი ხანგრძლივი თავდაცვითი ომი სასტიკ ბრძოლად გადაიქცა. ჩვენი არმიის მებრძოლი სული ხელახლა განიცდის მძიმე გამოცდას. აუცილებელია ჩვენი არმიის ყველა ძალის უკიდურესი დაჭიმვა. სანაპიროების დაცვა გახდა ჩვენი საბრძოლო ფრონტის მნიშვნელოვან ნაწილად. ფლოტისა და სანაპირო არტილერიის მონაწილეობა ჩვენი სანაპიროების დაცვაში კარგად არის ცნობილი და ყველას მიერ აღიარებული. ჩვენი ფლოტის დიდი მიღწევები წარმოადგენენ ჩვენი მებრძოლი სულისა და პასუხისმგებლობის გრძნობის დამამტკიცებელ საბუთს. თქვენ უნდა იყოთ თვითეული ფინელი ჯარისკაცისათვის სიმამაცის, ამტანიანობისა და სამშობლოსადმი სიყვარულის საუკეთესო მაგალითი".

*

„გამარჯვების წელი" კვლავ გადაიდო

ინგლისის მინისტრმა სტაფორდ კრიპსმა, რომლის გამგებლობაშიც შედის არმიის უზრუნველყოფა ავიაციით, ამ რამდენიმე ხნის წინათ მიმართა სიტყვით სამხედრო მრეწველობის შოტლანდიელ მუშებს. კრიპსმა მკვეთრად გააკრიტიკა ინგლისის სამხედრო მდგომარეობის ოპტიმისტური შეფასება და განაცხადა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისის მუშები განუწყვეტლივ დაამზადებენ სამხედრო საჭურველს, ომი შეიძლება მოგებულ იქნას 1945 წელს. ამრიგად, დასავლეთის ქვეყნების პასუხისმგებელმა მინისტრმა, „გამარჯვების წლად" პირველად დაასახელა არა 1944, არამედ 1945 წელი.

ნეიტრალურ ქვეყნებში ამ საკითხის შესახებ აღნიშნავენ, რომ, ლონდონსა და ვაშინგტონში „გამარჯვების წელიწადი" სულ უფრო-და-უფრო შორს გადააქვთ. პირველად ამბობდნენ, რომ გადამწყვეტი იქნება 1942 წელი, შემდეგ ითქვა — გამარჯვებას მოიტანს 1943 წელი, ეხლა კი უკვე 1945 წელზე დაიწყო ლაპარაკი.

საზენიტო არტილერიის დამხმარე გერმანელი ქალიშვილები საპროჟექტორო და ხმისდამჭერ ხელსაწყოებთან

სადესანტო გემების ტიპები

სადესანტო ოპერაციების სწრაფად და შესაძლებლობისამებრ ნაკლები დანაკარგით ჩატარების აუცილებლობამ ინგლის-ამერიკელები აიძულა შეექმნათ სხვადასხვაგვარი სადესანტო გემების ახალი ტიპები. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესზე კამათის დროს ლაპარაკი იყო შემოჭრისათვის მოემზადებინათ 60.000 ასეთი გემი. ეს ციფრი, ცხადია, ამერიკელთათვის დამახასიათებელი გაბერვის შედეგია, მაგრამ „მოკავშირეებმა“ დღესდღეობით მაინც შესძლეს ათასობით სადესანტო გემის აშენება. ეს გემები სამ ტიპად განიყოფებიან: 1) სადესანტო ნავები, 2) სადესანტო ხომალდები, 3) რამდენიმე სადესანტო ნავით დატვირთული ტრანსპორტები.

სადესანტო ნავები კონსტრუირებული არიან შემდეგ ვარიანტებად: მსხვილი ნავები 250 კაცისათვის, რომლებიც გამოყენებულ იქნენ იტალიაში გადმოსხმის დროს მას შემდეგ, რაც მათ წარმატებით გადასერეს ატლანტიის ოკეანე საათში 34 კილომეტრის სიჩქარით; სადესანტო ნავები ტანკების გადასაზიდად. მათი სიჩქარე უდრის 25 კილომეტრს საათში, გადააქვთ სამიდან ექვს ტანკამდე; მცირე სადესანტო ნავები, რომლებიც ჩვეულებრივად ტრანსპორტებით გადააქვთ, მათი ტანი ჯავშნით არის დაფარული; ამ ნავებს იყენებენ მოულოდნელი გადმოსხმისათვის (ჩვეულებრივად ღამით). მათ გადაჰყავთ ოციდან ოცდათხუთმეტამდე ჯარისკაცი და შეიარაღებული არიან ტყვიამფრქვევებითა და ნაღმსატყორცნებით.

ინტერესს იწვევს ამერიკული ნავ-ამფიბიას სხვადასხვა სახე. იგი 25 კაცს იტევს და შეუძლია როგორც წყალში ცურვა, ისე ხმელეთზე მოძრაობა. ეს ნავი პირველად გამოყენებულ იქნა სიცილიაში. „ალიგატორის“ ტიპის ამერიკული ამფიბია მეტად მოძრავია და ადვილად ბრუნავს, მას შეუძლია წყალში 18 კილომეტრის გავლა საათში, ხოლო დედამიწაზე — ორჯერ მეტი მანძილისა. ყველა სადესანტო ნავს ქიმზე აქვს მოსახსნელი კარი, ნაპირზე ეკიპაჟის სწრაფად გადმოსხმისათვის.

სადესანტო ხომალდები ნაწილობრივ გადაკეთებული არიან გემ-ბორნებისაგან, ნაწილობრივ აგებული არიან სპეციალურად ტანკების გადასაზიდად. ამერიკელებმა ასეთი ტიპის გემები დიდი რაოდენობით ააშენეს.

მთელი არმიის ოკეანეზე გადასაყვანად იყენებენ დიდ ტრანსპორტებს, რომელთა გემბანზე 8-დან 12-მდე სადესანტო ნავია მოთავსებული.

*

„საჰაერო გამარჯვება“ 600 წლის წინათ

შარტრის ფართო ხეობაში, რომელიც განთქმულია თავისი განსაკუთრებული ნაყოფიერებით, გლეხები დღესაც უთითებენ ერთერთ დიდ მინდორზე. ამ მინდორმა თავისდროზე უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა. დაახლოვებით 600 წლის წინათ, აქ განიცადა დიდი დამარცხება ინგლისურმა არმიამ. ინგლისელები დამარცხდნენ არა იარაღის ძალით, არამედ სეტყვით...

1369 წლის გაზაფხულზე ინგლისის მეფე ედუარდ მესამემ, რომელიც უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში თავს ესხმოდა საფრანგეთს, სრულიად გაანადგურა ნორმანდია. ულამაზესი ქალაქები კანი, ბაიე და კარანტანი ინგლისელებმა დასწვეს და ნანგრევებად აქციეს. მეფე ედუარდმა დაამარცხა ფრანგები კრესთან და პუატიესთან, რის შემდეგ თავისი ჯარები წაიყვანა სამხრეთისაკენ, მაგრამ ბოსის ოლქში იგი წააწყდა გამაგრებული ქალაქების შარტრისა და ორლეანის ძლიერ წინააღმდეგობას.

როდესაც ედუარდ მესამის არმია უახლოვდებოდა შარტრს და ჯარისკაცები გაიფანტნენ მინდორზე შეტევის დასაწყებად, მოულოდნელად წამოვიდა ისეთი დიდი სეტყვა, რომლის მსგავსიც ბოსის მოსახლეობას არასოდეს არ ეხსოვა. ხეობას გადაუარა საშინელმა გრიგალმა, კოხი ისე დიდი იყო, რომ აქცევდა ჯარისკაცებს და ცხენებსაც კი. როდესაც სეტყვის შემდეგ ინგლისურმა არმიამ დაიწყო ქალაქ შარტრის შტურმი, მას იქ შეხვდა ისეთი წინააღმდეგობა, რომ ინგლისის მეფე იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის განზრახვაზე — აეღო ქალაქი.

ვინაიდან ედუარდ მესამე დამარცხდა კიდევ პარიზთან და რეიმსთან და აგრეთვე მისი არმია შესუსტდა შიმშილითა და ფრანგების პარტიზანული თავდასხმებით, სეტყვის შემდეგ მან გადასწყვიტა ზავი მოეთხოვა. ბრეტანის ერთერთ პატარა კოშკში, 1360 წლის 7 მაისს, ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ინგლისის მეფე უარს აცხადებდა ნორმანდიაზე. მან მიიღო მაშინდელი საფრანგეთის მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ქალაქ ლუარამდე.

ინგლისელებზე ამ თავისებური „საჰაერო გამარჯვების“ მოსაგონებლად, ყველა იმ მინდვრების მფლობელნი, რომლებიც მოჰყვნენ მაშინ სეტყვის ქვეშ, განთავისუფლებული იქნენ გადასახადებისაგან. ამ უფლებით გლეხები სარგებლობდნენ 400 წლის განმავლობაში საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე, როდესაც ეს კანონი გაუქმდა.

ახალი გერმანული ტანკი „პანთერი“

გულწრფელი სტრიქონები

(წერილი საქართველოდან)

აღმოსავლეთის ფრონტზე მოკლული ქართველი წითელარმიელის ჯიბეში აღმოჩენილ იქნა სამშობლოდან მიღებული წერილი, რომელიც ერთერთმა გერმანელმა მეგობარმა გაზ. „საქართველოს“ რედაქციას გადმოუგზავნა.

წერილი დაწერილია უშნოდ, რვეულის გაყვითლებულ ქაღალდზე და შეიცავს ერთნახევარ გვერდს; კონვერტი ჯიბეში დიდხანს დებისაგან საშინლად გაცრეცილა, მაგრამ მზრუნველ პატრონს სამშობლოდან გამოგზავნილი ძვირფასი საგანი მაინც დაუწებებია, კვლავ განუახლებია და საგანგებოდ შეუნახავს უბის ჯიბეში. წერილი გამოგზავნილია ქ. ქუთაისიდან, კავშირგაბმულობის წითელარმიელის ალიოშა ფ-ძის სახელზე შემდეგი მისამართით: ბელორუსიის სსრ, ვილეის ოლქი, სვენციანი 204, ს-პ., ა. მ. უვაროვის კავშირგაბმულობის ასეული. წერილის თარიღია 1943 წლის 11 აგვისტო.

ალიოშა ფ-ძეს მისი და ნ. ფ-ძე შემდეგს სწერს:

„ძვირფასო ძმაო ალი, დიდ ბოდიშს ვიხდი შენს წინაშე, რომ შენს წერილზე თითქმის 2-3 თვის შემდეგ პასუხს გაძლევ. რა ვქნა, მდგომარეობა ისეთი მქონდა, რომ წერილისათვის არ მეცალა მთელი ზაფხულის პერიოდში. ყველა ბავშვები ავად მყავდნენ ყვავილით, ერთი სიტყვით წერილი კი არა, თავი არ მახსოვდა...

სხვა აქ ძალიან სიცხეებია, სურსათის ისეთი სიძვირეა, რომ მეტი არ შეიძლება, მასთან პურის სრული უქონლობა. მეტი მშვენიერება რაღა გინდა, შაქრის ნასახიც არ არის, ბავშვებისათვისაც კი ვერსად იშოვნი... ნეტა მალე დამთავრდეს ეს ოხერი ომი, სულს ძლივს ვღაფავთ...

ახლა ნახვამდის, ბოდიშს ვიხდი—ცუდი ნაწერია, კალამი ვერ ვიშოვნე...

გწერს შენი დაიკო **ნინო**“.

ეს წერილი კომენტარიებს აღარ საჭიროებს. მისგან ნათლად სჩანს, თუ რა მდგომარეობაშია ქართველი ხალხი სტალინის მხაკვრული რეჟიმის წყალობით.

სუვოროვის ორდენი — ინგლისელებს

საბჭოთა ელჩმა ინგლისში, გუსევმა გადასცა სამ ინგლისელ ოფიცერს უმაღლესი საბჭოთა წარჩინების ნიშანი — სუვოროვის ორდენი. ორდენები მიიღეს ფელდმარშალმა სერ ბრუკმა, ადმირალმა ტოვიმ და საჰაერო მარშალმა არტურ ჰარისმა, მძიმე ინგლისური ავიაციის მთავარსარდალმა. ჰარისი, როგორც ცნობილია, არის ევროპის ქვეყნებზე ტერორისტული საჰაერო თავდასხმების მთავარი ინიციატორი.

ორდენების გადაცემის დროს, გუსევმა ხაზი გაუსვა, რომ სუვოროვის ორდენით საბჭოთა მთავრობა მხოლოდ „უმაღლესი სამხედრო დამსახურების“ პირებს აჯილდოებს.

ზურაბ ავალიშვილი

დავკარგეთ ერთი უნიჭიერესი და უგანათლებულესი ქართველთაგანი. 21 მაისს ქალაქ შვენინგენში (ჰოლანდია) გარდაიცვალა ჩვენი სწავლული ზურაბ ავალიშვილი. [illegible]

გრიგოლ დიასამიძე.

უდიდესი მიღწევა

გერმანიისა და საბჭოთა კავშირის შორის ომის ამ ხანი წლის განმავლობაში, სტალინს არაერთხელ უთქვამს, რომ გერმანიის არმია დამარცხდება მაშინ, როცა მოხდება აღმოსავლეთში წარმოებული ოპერაციების შეთანხმება დასავლეთიდან დარტყმასთან. [illegible]

[illegible]

პანიკური კითხვები

[illegible]

მზვერავი ნორვეგიის სანაპიროზე.

გამოგონებათა ისტორიიდან

პირველი ლოკომოტივი

როდესაც ინგლისში სტეფენსონი თავის პირველ ცდებს აწარმოებდა, მისი ლოკომოტივის გარშემო მიმოდიოდა მოკრივეიგი ილაედი პირველ ორთქლის მანქანას გლეხებისაგან, რომლებსაც სურდათ დაემსხვრიათ ლოკომოტივი და ამით ხელი შეეშალათ სტეფენსონისათვის განეხორციელებინა ეს უდიდესი გამოგონება. სამედიცინო ორგანიზაციები მაშინ ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ ლოკომოტივი თავისი კვამლით მოსწამლავდა ჰაერს, ფრინველები ჰაერიდან ჩამოცვივდებოდნენ, ხოლო მატარებლის გვირაბში გავლის დროს მგზავრები აუცილებლად მოიწამლებოდნენ მავნე გაზებით.

ტელეფონი

1865 წელს, ერთერთი დიდი ამერიკული გაზეთი სწერდა:

„ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ცნობილია, რომ სრულიად შეუძლებელია ადამიანის ხმის გადაცემა შორმანძილზე მავთულის საშუალებით. ეს შესაძლებელიც რომ იყოს, მაინც სრულიად უსარგებლო აღმოჩნდებოდა".

როდესაც გრახამ ბელმა, მიუხედავად ფართო საზოგადოების ასეთი აზრისა, მაინც დაიწყო თავისი აპარატების გაყიდვა და გავრცელება, ბოსტონში მეორე გაზეთმა პოლიციას მოუწოდა, რათა მას მიექცია ყურადღება „ვილაც გიჟისათვის", რომელიც ატყუებს ხალხს და სტყუებს მათ ფულს რაღაც აპარატების საფასურში.

მუხრუჭი

ვანდერბილდმა (რკინიგზების ცნობილი მაგნატი) გამოაგდო თავისი ოთახიდან ვესტინჰაუზი იმ მოტივით, რომ მას დრო არა ჰქონდა მოესმინა გიჟებისათვის. ვესტინჰაუზმა მაშინ ვანდერბილდს წარუდგინა თავისი მუხრუჭის პროექტი, რომელიც მოქმედებს შეკუმშული ჰაერით.

ელექტროგანათება

როდესაც ინგლისის პარლამენტში ირჩეოდა საკითხი ქალაქში ელექტროგანათების შემოღების შესახებ, კომიტეტს, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამ საკითხის შესწავლა, შეეკითხნენ — აქვთ თუ არა მათ თომას ედისონის აზრი. კომიტეტმა უარყოფითად უპასუხა: ედისონს არავითარი მეცნიერული ცოდნა არა აქვს და ამ საკითხზე მას არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე კომპეტენტური აზრიო.

წინდების საქსოვი მანქანა

მეუფე უილიამ ლიმ, წინდების საქსოვი მანქანის გამოგონებას და გაკეთებას დაახარჯა თავისი უკანასკნელი გროშებიც კი. როდესაც ლიმ გადასწყვიტა თავისი გამოგონება ხალხისათვის ეჩვენებინა, მას დააბრალეს, რომ მანქანა გაალატაკებს წინდების ხელით მქსოველ მუშებს. მანქანის ჩამორთმევის შემდეგ იგი იძულებული შეიქნა გაქცეულიყო საფრანგეთში, სადაც შიმშილისაგან გარდაიცვალა.

ძმებმა მორლეებმა, უილიამ ლის გამოგონების საფუძველზე გააკეთეს წინდების ახალი საქსოვი მანქანა და პირველი 3 წლის განმავლობაში აიღეს 1 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

საქსოვი დაზგა

მექანიკური საქსოვი-დაზგა გამოიგონა შარლ ჟაკარმა (1752-1834 წ. წ.). ქალაქი ლიონის მცხოვრებლებმა საქვეყნოდ დასწვეს ახალი მანქანა. თვითონ ჟაკარი შემთხვევით გადარჩა, მას უპირებდნენ მდინარე რონაში გადაგდებას, ვინაიდან ცილი დასწამეს, რომ სურდა ლიონის ნახევარი მოსახლეობა მათხოვრებად გადაექცია.

როგორ აღმოჩნდა ბაქტერიოფაგი

[illegible]

„მომხმარე კულტურა" — ასე ამბობდნენ მეცნიერები და სტოვებდნენ სინჯარებს, სადაც ბაქტერიებს არ სურდათ გამრავლება. „წყლის გაუვალი თვისება" — უპატიებდნენ სხვა სწავლულები, როდესაც ახსნიდნენ მდინარეთა წყლებში ბაქტერიების გაქრობის საკითხს.

[illegible]

ნარკვევი

30.000 მიწისძვრა წელიწადში

მეცნიერთა მტკიცებით, მიწისძვრათა საერთო რიცხვი წელიწადში აღწევს საშუალოდ 30.000. სამეცნიეროდ, ამ მიწისძვრათა უმეტესობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ მათი გაგება მხოლოდ სპეციალური აპარატებით შეიძლება. წელიწადში მარტო 30 მიწისძვრა სტოვებს საგრძნობ კვალს, დაწყებული კედლების გაბზარვიდან და დამთავრებული უდიდესი კატასტროფებით, რომელნიც ადამიანთა უზარმაზარ მსხვერპლს იწვევენ. მაგ. მაგალითად, 526 წლის მიწისძვრის დროს ხმელთაშუა ზღვის რაიონში დაიღუპა 250 ათასამდე კაცი, ხოლო იაპონიაში 1703 წლის მიწისძვრისას — 200 ათასი კაცი. ყოველი მიწისძვრა ასეთი ძლიერი რომ იყოს, კაცობრიობა დიდიხანია აღარ იარსებებდა.

„არა შეჯდა მწყერი ხესა..."

ზოოლოგიაში ცნობილია ერთი მეტად ახირებული ცხოველი სირაქლემა. მის ქცევას ხშირად გაკვირვებაში მოუყვანია ზოოლოგები. ეს ცხოველი, რომელიც საერთოდ მოვლის, გარბის და თავს ხილში შერგავს ხოლმე. [illegible]

[illegible]

მოხალისეთა საყურადღებოდ

[illegible]

გაზ. „საქართველოს" რედაქცია.

ქართული საკავშირო შტაბის გამოცემით იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა არჩილ მიტრეველის მიერ შედგენილი ჯარისკაცის გერმანულ-ქართული და ქართულ-გერმანული ლექსიკონი (Deutsch-Georgisches und Georgisch-Deutsches Soldatenwörterbuch).

ლექსიკონი შედგენილია იმავე წესით, რაც საფუძვლად უდევს ჯარისკაცის გერმანულ-უცხოური ჯიბის ლექსიკონების სერიას.

ქართველ მოხალისეთა ურთიერთდამხმარე სალაროს ფონდის გასაძლიერებლად ნებაყოფლობითი შემოწირულობის სახით გაღებული თანხა შემოტანილი უნდა იქნას შემდეგი მისამართით: Postscheckkonto, Berlin 25053 für Dresdner Bank — Konto Nr. 3232.

პასუხისმგებელი რედაქტორი
პაატა ვარძიელი
რედაქციის მისამართი
Georgische Zeitung „Sakarthwelo"
Berlin SW 68, Neuenburgerstr. 14.

ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა